**ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ XXVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲡ — ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲡ!**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 40 (4034)

1970 წ. 26 თებერვალი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


პროფკავშირთა ზონალურ პირველობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტყავის ხელთათმნის ქუთაისელმა ოსტატებმა ა. ნიკოლაძემ და ვ. სულაკაძემ. მათ თავიანთ წონით კატეგორიებში ყველას აჯობეს და სპეციალისტთა დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. ამ სპორტსმენთა სახით ჩვენს რესპუბლიკას კარგი მომავლის მოკრივეები ეზრდება.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ვ. სულაკაძისა და ვ. ბულატის ფინალური ორთაბრძოლა; მარჯვნივ — ა. ნიკოლაძისა და ვ. შუკელის შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.





# ყოჩაღ, განთიადელებო!

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის პროფკავშირების პირად-გუნდური ზონალური პირველობა კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სომხეთის „აშხატანგის“, მოლდავეთის „მოლდოვას“, აზერბაიჯანის „ნევთჩისა“ და საქართველოს „განთიადის“ უძლიერესი ოსტატები.

აღსანიშნავია, რომ მოკრივეთა ასეთი მასშტაბის შეჯიბრება თბილისში კარგა ხანია არ გამართულა. ამიტომ იყო, რომ სპორტის სასახლეში უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ყველას აინტერესებდა, როგორ იასპარეზებდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეები — ისინი ხომ ბოლო წლებში საკმაოდ სუსტად გამოდიან როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო შეჯიბრებებში.

ასპარეზობა მწვავედ წარიმართა. შეჯიბრების პირველ დღეს განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ვ. სულაკაძე, ა. ბაზალი და თ. შალიკიანი. სწორედ მათმა გამარჯვებებმა თავიდანვე დააწინაურა „განთიადის“ გუნდი.

მეორე დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია ს. ჩიქოვანისა და სომხეთის წარმომადგენელ მ. მესროპიანის ორთაბრძოლა. ჩიქოვანი რინგზე მეტად მსუბუქად, ოსტატურად იბრძოდა, მეტოქის არც ერთ შეცდომას უყურადღებოდ არ ტოვებდა და დამსახურებულად გაიმარჯვა კიდეც.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ფინალური შეხვედრები.

უმჩატეს წონაში გამარჯვებულის ვინაობა სულაკაძისა და მოლდაველი ვ. ბულატის ორთაბრძოლას უნდა გაერკვია. პირველი რაუნდი სპორტსმენებმა დაზვერვას მოანდომეს,—ორივე მოკრივე ფრთხილობდა და შეტევის წამოწყებას ერიდებოდა. მეორე რაუნდში სულაკაძე იერიშზე გადავიდა და სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მოწინააღმდეგეს. მსაჯებმა გამარჯვება ერთხმად მიაკუთვნეს სულაკაძეს.

ა. ბაზალი (57 კგ) მოულოდნელად დამარცხდა ლ. სოსუნოვთან (აზერბაიჯანი) და პირველობაც ამ უკანასკნელმა მოიპოვა.

მთელი შეჯიბრების მანძილზე შესანიშნავად გამოდიოდა სომხეთის წარმომადგენელი ვ. დოლგუშინი (60 კგ). ფინალში მან ერთობ დახვეწილი ოსტატობა გამოავლინა და ლამაზ სტილში სძლია მოლდაველ ლ. გეშელეს.

ს. ჩიქოვანი (63,5 კგ) ორი რაუნდის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ მესამე რაუნდში ოდნავ მოადუნა ყურადღება და დამარცხდა აზერბაიჯანელ რ. ისმაილოვთან.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელი ე. არუთინოვისა (71 კგ) და მოლდაველი მ. ზერკინის შეხვედრამ. სამივე რაუნდში თბილისელის უპირატესობა აშკარა იყო.

მაყურებელი მოუთმენლად ელოდა მძიმე წონაში საქართველოს ჩემპიონის, სახელგანთქმული მწვრთნელის ნ. კუზნეცოვის მემორიალში გამარჯვებული ა. ნიკოლაძის გამოსვლას. მის პირისპირ დადგა მოლდავეთის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვ. შუკელი. უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძე ავადმყოფობის შემდეგ ასპარეზობდა და ჩვეულ ფორმაში ვერ იყო, მაგრამ მან პირველივე რაუნდში ნოკაუტში გაისტუმრა მეტოქე.

გუნდური პირველობა მოიგეს განთიადელებმა. II ადგილზე არიან „აშხატანგის“ მოკრივეები, III — „მოლდოვას“ წარმომადგენლები.

ქების ღირსი არიან მწვრთნელები ვ. ხატიაშვილი და ხ. ვახტანგაძე, რომლებმაც შეჯიბრებისთვის მოამზადეს „განთიადის“ გუნდი.

საქართველოს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები.

შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

**ე. ქელბაქიანი,**
საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაცია-პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.

# ახალი გამარჯვებები — ახალი წოდებები

ჩეხოსლოვაკიის მაღალ ტატრებში ჩატარებული მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ამ ასპარეზობამ საბჭოთა სპორტს ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მოთხილამურეები მსოფლიო პირველობებსა და თეთრ ოლიმპიადებში გამოდიან. საბჭოთა ქალებმა და ვაჟებმა მთელი სპორტული სამყაროს აღტაცება გამოიწვიეს, როცა თოვლის ნათხილამურევზე ყველაზე უხვი ოქროს მოსავალი მოიმკეს.

ახლა ეს ბრწყინვალე გამარჯვება აღინიშნება სსრ კავშირის უმაღლესი სპორტული ჯილდოებით, რომლებიც ამ დიდი წარმატების შემოქმედთა მკერდზე აკიაფდება. სპორტის დამსახურებულ ოსტატთა ოჯახს შეემატნენ გ. კულაკოვა, ა. ოლიუნინა, ნ. ფიოდოროვა, გ. ნაპალკოვი, ვ. ვედენინი, ვ. ვორონკოვი, ვ. ტარაკანოვი, ფ. სიმაშოვი. მათი სახელები შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო წიგნში.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გახდნენ ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები — ორჭიდელი ნ. ნაგოვიცინი და მრბოლელი ქალი გ. პილიუშენკო.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიიღეს საბჭოთა სათხილამურო რაზმეულის დამრიგებლებმა: ს. სახარნოვმა, ვ. აზაროვმა, ვ. ბარანოვმა, ვ. კუზინმა, პ. კოლჩინმა, ვ. კამენსკიმ, ა. ერშოვმა, ვ. ივანოვმა.

ამ დღეებში საბჭოთა მოთხილამურეებმა იზეიმეს კიდევ ერთი წარმატება — გამარჯვება ესტერსუნდში (შვეცია), ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატში. სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა საბჭოთა ბიატლონისტების — მსოფლიო ჩემპიონთა კვარტეტის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ა. უშაკოვი. უშაკოვისა და მისი ამხანაგების — ა. ტიხონოვის, რ. საფინის, ვ. მამატოვისა და გ. ბურანოვის (მათ უკვე ადრე მიიღეს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება) სახელები შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო წიგნში.

(საკდესი).

16 ფინალისტის საქმენი

• •

# 8 გოლი და... სიმაღლის ფაქტორი

ლიმა, 25 თებერვალი. პერუს მაღალმთიანი დედაქალაქის სტადიონზე მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა ამხანაგური შეხვედრა გაიმართა — მინდორზე გამოვიდნენ პერუსა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

მატჩი არაჩვეულებრივი სიმწვავით აღინიშნა. ანგარიში ბულგარელმა დერმენჯიევმა გახსნა და მხოლოდ 56-ე წუთზე პერუელმა სოტილმა სტუმართა კარში საპასუხო ბურთი გაიტანა. შემდეგ კუბილიამ დააწინაურა პერუელები, მაგრამ ახლა ბულგარელმა ასპარუხოვმა (77-ე წ.) გაათანაბრა ანგარიში—2:2.

ამ გოლით აღფრთოვანებულმა სტუმრებმა მძაფრად შეუტიეს მეტოქეს და მე-80 წუთზე მიხაილოვმა წინ გაიყვანა ბულგარეთის ნაკრები — 3:2.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთებში თავი იჩინა სიმაღლის ფაქტორმა: ბულგარელები ძალიან დაიღალნენ, რითაც ისარგებლეს მასპინძლებმა და ჯერ კუბილიამ, მერე კი სოტილმა (ორჯერ) აიძულეს სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა პერუს ნაკრებმა.

# კანდიდატურების წარდგენა — 10 მაისს

ლოზანა, 24 თებერვალი. ოფიციალური წარდგენა იმ ქალაქების კანდიდატურებისა, რომელთაც სურთ მასპინძლობა გაუწიონ 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებს, 10 მაისს მოეწყობა. ამასთან, თანმიდევრობა განისაზღვრება ამ ქალაქების მერებს შორის ჩატარებული კენჭისყრით. ასე გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომამ, რომელმაც განიხილა სოკ-ის 69-ე სესიის მომზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ეს სესია მაისში ჩატარდება ამსტერდამში.

კერძოდ, სოკ-ის აღმასკომმა განიხილა პროფესიონალთა პრობლემა კანადის ჰოკეის ასოციაციის ხელმძღვანელთა მოთხოვნით, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ ლოზანაში. გადაწყდა, რომ კანადის პროფესიონალთა მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში გამორიცხულია, და თუ ისინი მსოფლიო ჩემპიონატში გამოვლენ, ეს ნაკრები საერთოდ ამოღებული იქნება ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე სოკ-ის მაისის სესიამ უნდა მიიღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნონა გაფრინდაშვილი


ნანა ალექსანდრია


თინათინ ლეკვეიშვილი


რუსუდან სიხარულიძე


ვარდო ქუთათელაძე

# 5 ქალი

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის 28-ე ყრილობა. რესპუბლიკის კომკავშირელთა ეს ფორუმი ემთხვევა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მეცნიერების, კულტურისა თუ სპორტის სფეროში ნაკისრ

# და

ვალდებულებათა განაღდების პერიოდს. ახლა ყველა კომკავშირელი გაათკეცებული ენერგიით იბრძვის, რათა ყოველი დღე მაქსიმალურად გამოიყენოს და დიდი ლენინის იუბილეს ახალი წარმატებებით შეხვდეს.

ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ახალგაზრდების ცხოვრებაში. რესპუბლიკის ახალგაზრდობის რჩეულნი განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს, დააჯამებენ წინა ყრილობიდან განვლილ პერიოდში გარჯით მოპოვებულ შედეგებს, ისაუბრებენ მათს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, დასახავენ სერიოზულ ამოცანებსა და ნათელ პერსპექტივებს.

საქართველოს კომკავშირელებმა საანგარიშო პერიოდში ბევრი დიდი წარმატება მოიპოვეს. მათ მუდამ მოწინავეთა რიგებში ვხედავთ მშენებლობებზე, მინდვრებში თუ პლანტაციებში, სამეცნიერო კათედრებზე თუ ლაბორატორიებში, კულტურულ დაწესებულებებში თუ სპორტულ სარბიელზე.

ამ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სპორტსმენებმაც. მარტო შარშანდელ სეზონში მათ ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს და სამამულო სპორტის ისტორიის წიგნს მათი სასახელო საქმეების ამსახველი მრავალი ფურცელი შეემატა.

მარტო ის რად ღირს, რომ საბჭოთა სპორტსმენების მიერ შარშანდელ სეზონში მოპოვებული მიღწევებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სპორტსმენებზე მოდის. მსოფლიოს ჩემპიონატებში საქართველოს წარმომადგენლებმა 6 პირველი, 2 მეორე, 6 მესამე და 1 მეხუთე ადგილი დაისაკუთრეს. ამრიგად, მსოფლიო პირველობებში მათ 13 საპრიზო ადგილი მოიხვეჭეს და სსრ კავშირის რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა შორის IV ადგილზე არიან. ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული ნადავლით საქართველოს სპორტსმენებს V ადგილი უკავიათ. სსრ კავშირის ქალაქებს შორის მსოფლიო ჩემპიონატების თანრიგით თბილისი III ადგილზეა, ხოლო ევროპის ჩემპიონატების თანრიგით — VI.

შარშანდელი მსოფლიო, ევროპისა თუ სსრ კავშირის ჩემპიონთა და პრიზიორთა დასახელება ძალიან შორს წაგვიყვანდა. მათს შესახებ „ლელოს" უკვე ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს. დღეს მხოლოდ იმ რჩეულ სპორტსმენებს წარმოგიდგენთ, რომლებიც კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საქართველოს 28-ე ყრილობის დელეგატებად აირჩიეს.

ესენი არიან: მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც შარშან მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მერე კი — ევროპის პირველი ჩემპიონი; სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, რომელმაც სულ ახლახან ჰოლანდიის ქალაქ ბევერვეიკში უცხოელ მოჭადრაკეებთან ჭიდილში პირველობა მოიპოვა; მოცურავე თინათინ ლეკვეიშვილი, რომელიც წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას. მან ცურვა 1964 წელს ისწავლა, 1965 წელს მეორე-თანრიგოსანი გახდა, 1966 წელს— ოსტატობის კანდიდატი, 1967 წელს — ოსტატი, 1968 წელს — სსრ კავშირის ჩემპიონი. თინათინმა მონაწილეობა მიიღო მეხიკოს ოლიმპიადაში, 1969 წელს იგი სსრ კავშირის ჩემპიონი და სსრ კავშირის რეკორდსმენი გახდა, გაიმარჯვა ევროპის თასის გათამაშებაში.

თავი ისახელა ბათუმელმა მოსწავლემ რუსუდან სიხარულიძემ, რომელმაც შარშან საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე თავისი ნაციფი ოსტატობით ტანვარჯიშის ბევრი ქომაგი განაცვიფრა. ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მძლეოსანთა რიგებშია საქართველოს რეკორდსმენი ვარდო ქუთათელაძე, რომელმაც მძლეოსნურ სარბიელზე მრავალი გამარჯვება მოიპოვა.

ყრილობის დელეგატები არიან მოჭიდავე-„კლასიკოსი" რომან რურუა—სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი; ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებული; მძლეოსანი ვიქტორ სანეევი — ოლიმპიური მეხიკოს გმირი და შარშანდელ ევროპულ ჩემპიონატში უძლიერესი, სსრ კავშირის ჩემპიონი; კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე — საბჭოთა ნაკრები გუნდის წევრი, საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი; გივი ნოდია — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კომორგი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი.

დღეს ყრილობა მუშაობას იწყებს. სხვა საკითხებთან ერთად დიდი საუბარი გაიმართება ქართული სპორტის ავ-კარგზეც. დაისახება ახალი ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის ახალგაზრდებისთვის და, მათ შორის, სპორტსმენებისთვისაც საპროგრამო იქნება.

# 5 ვაჟი


რომან რურუა


ვიქტორ სანეევი


ალექსანდრე მეტრეველი


ზურაბ საკანდელიძე


გივი ნოდია

# სპარტაკიადაში მონაწილეობა —სპორტსმენის მიზანი!

## სამზადისიდან ველობოლა

**სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: XV ადგილი.**

რ. საიდხუჯინი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. კობაიძე (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. რთველიაშვილი (1951 წ. „სპარტაკი", თბილისი), ი. კრასავცევი (1941 წ. „განთიადი", რუსთავი), ს. გრიშკევიჩი (1942 წ. „განთიადი", თბილისი), ა. კოსტეცკი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. მალცევი (1948 წ. „დინამო", თბილისი), ზ. ხოშტარია (1951 წ. „დინამო", სოხუმი), ე. ქობალია (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ბულბულოვი (1952 წ. განათლ. განყ., თბილისი), ო. სუჯაშვილი (1944 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ჩერნოუსოვი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. სიდანოვი (1942 წ. „კოლმეურნე", თბილისი), თ. დუშმანიშვილი (1950 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), გ. ცინარიძე (1947 წ. „ლოკომოტივი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებელია ბ. ბონდარენკო, გუნდის უფროსი შ. საღარეიშვილი, უფროსი მწვრთნელი ა. გუნია, მწვრთნელები: ი. გოცირიძე, ნ. ტრეტიაკოვი, კომორგი გ. ჯაფარიძე.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 39.

## სატრეკო ველოსპორტი

**სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: IX გუნდური ადგილი.**

პრიზიორები: ვაჟები. სპრინტი — ო. ფხაკაძე (I), გიტი 1000 მეტრზე ადგილიდან — ო. ფხაკაძე (II), ჯგუფური 100 წრე 33 ფინიშით — ვ. ფეტისოვი (V).

ო. ფხაკაძე (1944 წ. „დინამო", თბილისი), ვ. ფეტისოვი (1948 წ. „დინამო", თბილისი), ვ. ჯაგაევი (1949 წ. ასკ, თბილისი), ო. ნიშნიანიძე (1943 წ. ბათუმი), ნ. გოგოტიშვილი (1948 წ. ასკ, თბილისი), ა. სვანიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. მალივანიკი (1947 წ. „დინამო", თბილისი), ი. მელიკოვი (1949 წ. „დინამო", თბილისი), ვ. პეტრინი (1949 წ. „დინამო", თბილისი), პ. ჩუტკერაშვილი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. ლიტვინოვი (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. გელაძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. პოპოვი (1947 წ. ასკ, თბილისი), გ. ქადაგიშვილი (1949 წ. ასკ, თბილისი), გ. ბაკურაძე (1953 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. ზაბახიძე (1951 წ. ასკ, თბილისი), მ. გაგნიძე (1947 წ. „შრომითი რეზერვები", ზესტაფონი), დ. ნოზაძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებელია ო. კალაძე, გუნდის უფროსი მ. ბარამია, უფროსი მწვრთნელი გ. თელია, მწვრთნელი ა. თავაძე, კომორგი ვ. სულაბერიძე.

## წყალბურთი

**სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: III ადგილი.**

ლ. გოგოლაძე (1938 წ. „დინამო", თბილისი), მ. გულედანი (1944 წ. „დინამო", თბილისი), ვ. ისელიძე (1948 წ. „დინამო", თბილისი), ო. მიმინოშვილი (1940 წ. „დინამო", თბილისი), ჯ. წიკლაური (1940 წ. „დინამო", თბილისი), რ. ოჩიგავა (1941 წ. „დინამო", თბილისი), თ. უმანგიშვილი (1948 წ. „დინამო", თბილისი), გ. სანაძე (1943 წ. „დინამო", თბილისი), ვ. დადივაძე (1951 წ. „დინამო", თბილისი), ო. იოსელიანი (1952 წ. „დინამო", თბილისი), კ. ალაშნიკოვი (1952 წ. „დინამო", თბილისი), ი. სეროფიანი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ს. ნიჟარაძე (1948 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ნ. კურტანიძე (1952 წ. „დინამო", თბილისი), ა. შატალინი (1953 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ჯ. თორთლაძე (1944 წ. „ლოკომოტივი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებელია მ. მეგრელიშვილი, გუნდის უფროსი ნ. მუსასტიკოვი, უფროსი მწვრთნელი რ. ჩაჩავა, მწვრთნელი ბ. მეველი, კომორგი ზ. ლომიძე.

(გაგრძელება იქნება)

## რაიონებიდან სტრიქონებად

### ბორჯომი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ბორჯომელ მოჭადრაკეთა და მოშაშეთა რაიონული პირველობები. საჭადრაკო ტურნირში 10 გუნდი მონაწილეობდა. თითოეულ გუნდში 5 ჭაბუკი და 2 გოგონა იყო. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა რუსული საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავა ქალაქის მე-2 სკოლამ, III — ბაკურიანის საშუალო სკოლამ. შაშში გაიმარჯვეს ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა. მათ 13 სკოლის გუნდები ეცილებოდნენ პირველობას. II ადგილი ხვდა ჭობისხევის კოლექტივს, III — რველის 8-წლიანი სკოლის მოშაშეებს.

**გ. გაგლოშვილი,**
ბორჯომის პიონერთა სახლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზედიზედ მესამე...

ფოთი, 25 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ მოეწყო გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება, რამაც ასეთი შედეგები მოგვცა: ჩეჩელიანი — ჩიქოვანი 1:0, უბილავა — ჩიქოვანი 1:0, ლევინი — უბილავა 0,5:0,5, გურგენიძე — ბოკუჩავა 1:0. ტალი — გიორგაძე გადაიდო.

თბილისის ჩემპიონმა ჩეჩელიანმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. ჩიქოვანს უბილავასთან დიდხანს არ უთამაშია: უიმედო პოზიციაში წინააღმდეგობა უაზრობა იყო. ლევინთან უბილავამ კარგად დაიცვა სისუსტეები და სასურველ ყაიმს მიაღწია.

თამაშის განახლებისას ნათელი გახდა, რომ ბოკუჩავას უარესი სვლა ჩაეწერა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. გურგენიძემ მეთოდურად გამოიყენა მისთვის სასარგებლო ეტლების ენდშპილი და ზედიზედ მესამე პარტია მოიგო.

I ტურის გამოტოვებულ ტალ—გიორგაძის შეხვედრაში ლაზიერის გამბიტი გათამაშდა. დიდოსტატმა უფრო თავისუფალი თამაში მიიღო. მან თანდათან შეავიწროვა მეტოქის პოზიცია და პაიკიც მოიგო. გიორგაძის ფიგურები შებოჭილი იყო, ამიტომ თბილისელმა ოსტატმა მეორე პაიკი დათმო, მაგრამ სასურველი კონტრშანსი მაინც ვერ მიიღო. პარტია გადაიდო.

3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი — 3-3 ქულა, ს. ჩეჩელიანი, ა. ბუსლაევი — 2,5-2,5, ე. უბილავა — 2.

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# რკინიგზელი რეგბისტები ახალი სეზონის წინ

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტთა გუნდის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ნ. ყიფიანს და სთხოვა რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

● რკინიგზელმა რეგბისტებმა საკავშირო ჩემპიონატის ზონალურ შეჯიბრებაში კარგად ასპარეზობის შემდეგ გადამწყვეტ ტურნირში ჩვეული ოსტატობა ვერ გამოავლინეს და საბოლოოდ VI ადგილზე აღმოჩნდნენ. რა იყო წარუმატებლობის მიზეზი?

— პირველ ყოვლისა, თაობათა ცვლა: გუნდიდან ბევრი გამოცდილი სპორტსმენი წავიდა, ახალბედებმა კი მხარი ვერ აუბეს უფროს კოლეგებს. მეორე მიზეზად მინდა დავასახელო ის, რომ რეგბიმ სულ ახლახან მოიკიდა საფუძვლიანად ფეხი ჩვენს რესპუბლიკაში. სარბიელზე გამოჩნდნენ ახალი კოლექტივები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ უკმარია საიმისოდ, რომ ჩვენმა წამყვანმა გუნდებმა ტოლფასოვანი შევსება მიიღონ. რეგბის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ ჩვენში სისტემატურად არ იმართება საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებები.

● ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შარშან ჩატარებული ზონალური ტურნირის მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მინდორი ვერ უპასუხებდა იმ მოთხოვნებს, რაც საჭიროა დიდი შეჯიბრების ჩატარებისთვის. ისიც ცნობილია, რომ თბილისში არ არის რეგბისთვის განკუთვნილი სპეციალური სარბიელი. გაქვთ თუ არა ამჟამად ნორმალური საწვრთნელი ბაზა?

— ეს ამბავი ძალიან გვაწუხებს. რეგბისტების მასპინძლობას თითქმის ყველა ბაზა გაურბის. ეს გასაგებიცაა: ბაზების ხელმძღვანელობა შიშობს, თამაშის დროს მინდორი არ დაზიანდესო. რეგბისტებისთვის სპეციალური სარბიელის გამოყოფაზე ჯერჯერობით არავინ ზრუნავს.

● როგორია თქვენი წლევანდელი გეგმები?

— გუნდის ძველი შემადგენლობა თითქმის უცვლელი დარჩა. კოლექტივს მოსკოვიდან დაუბრუნდა გ. დავითაია, შევქმენით ახალგაზრდული გუნდიც. მოვიძიეთ ნიჭიერი ჭაბუკები, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსი არიან თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები ზ. დედაბრიშვილი, დ. კილასონია, 15 წლის მოსწავლე კ. ლაზიშვილი და სხვ. გუნდი ორკვირიან შეკრებას გაივლის ბაკურიანში. აქ მოვაწყობთ სათხილამურო გადასვლებს, კროსებს... დიდი ყურადღება დაეთმობა ძალისმიერ ვარჯიშებს. ბაკურიანიდან თბილისში დაბრუნებისთანავე შევუდგებით მინდორზე ვარჯიშს.

● არის თუ არა რაიმე სიახლე მომავალი საკავშირო შეჯიბრების დებულებაში?

— არის. წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ორ ჯგუფად ჩატარდება: პირველ ჯგუფში იასპარეზებს 8 კოლექტივი, მათ შორის, თბილისის „ლოკომოტივი". მეორე ჯგუფში გამოვა 12 გუნდი, რომელთა შორის ჩვენი დედაქალაქის „დინამოც" იქნება. პირველ ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული კოლექტივი გაისად მეორე ჯგუფში გამოვა და პირიქით. საკავშირო ჩემპიონატი სტარტს აიღებს ივლისში. შეჯიბრება ჩატარდება ორ ტურად. პირველი ტური გაიმართება თბილისსა და კიევში. სექტემბერში მოსკოვში დასკვნითი ტური მოეწყობა.

● რა ღონისძიებებს ახორციელებს რეგბის რესპუბლიკური ფედერაცია საქართველოში ამ სახეობის განვითარებისთვის?

— რესპუბლიკური ფედერაცია ერთგვარ მუშაობას ეწევა ამ მხრივ, მაგრამ ის, რაც კეთდება, ზღვაში წვეთია. საჭიროა ფედერაციამ მეტი იმუშაოს, რათა ჩამოყალიბდეს ახალი კოლექტივები, ეწყობოდეს საქალაქო ჩემპიონატები. სეზონში (საკავშირო ჩემპიონატის მატჩების ჩათვლით) ჩვენ მხოლოდ ათიოდე შეხვედრის ჩატარება გვიხდება, როცა მოსკოვის პირველობაში 40 და მეტი კალენდარული თამაში უწევთ იქაურ გუნდებს.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მსაჯთა მომზადებასაც. ჩვენში სულ რაღაც ორიოდე მოქმედი მსაჯია და ეს, როგორც მოგეხსენებათ, საქმეს ვერ შველის.

დაბოლოს, ინვენტარის შესახებ. ამ მხრივაც არ არის საქმე კარგად. განვიცდით ბურთების, სპორტული ფორმის ნაკლებობას, არ არის ლიტერატურა სპორტის ამ სახეობაში. ყოველივე ზემოთქმული რომ მოგვარდეს, რესპუბლიკაში გაიზრდება რეგბის მიმდევართა რიგები და მოკლე დროში შეიძლება ისეთი ძლიერი გუნდების შექმნა, რომლებიც წარმატებით იასპარეზებენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

„ლელო" ინფორმაცია





# „გამბედაობა, სირთულე, ორიგინალობა"

ვანვარჯიშის კიევილი გულშემატკივრები უჩვეულო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ. გასულ შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება. მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი ტურნირი. მოასპარეზეები არც მრავალჭიდში გამარჯვებისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს, არც ცალკეულ იარაღებზე. შეჯიბრების დევიზი გახლდათ: „გამბედაობა, სირთულე, ორიგინალობა". ამიტომ იყო, რომ მსაჯებს ყველაზე უფრო აინტერესებდათ ტანმოვარჯიშეთა ახალი, რთული და გაბედული ნაერთები.

სწორედ გათამაშების სპეციფიკურმა ხასიათმა იმოქმედა სპორტსმენთა შეფასებაზე. ვაჟთა თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა. მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა მსოფლიო ჩემპიონის მ. ვორონინის (მოსკოვი) გამოსვლამ, მაგრამ მას X ადგილი ხვდა წილად.

ტაიჭზე I ადგილი დაიკავა ანდრიანოვის თანაქალაქელმა კ. კრუპელოვმა, რგოლებზე—ვორონინმა (აქ მეოთხე იყო თბილისელი ა. ნოზაძე), ხტომაში — ვ. ფოგელმა (მოსკოვის ოლქი), ორძელსა და ძელძზე — ს. შევკუნოვმა (კრასნოდარი).

ქალებში დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს წარმომადგენელს ნ. დრონოვას, რომელმაც ორძელზე მოსკოველ ლ. შებალინასთან ერთად პირველობა გაიყო. თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა ო. კარასიოვამ (მეორე იყო დრონოვა, მესამე — ბათუმელი რ. სიხარულიძე), დვირზე — ტ. შჩეგოლკოვამ (რიგა), ხტომაში — ი. კონდრაშინამ (მოსკოვი).

ხტომაში სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენებს დიდი მეტოქეობა გაუწია თბილისელმა მოსწავლე მ. მონიავამ, რომელმაც ბევრი ტიტულიანი ტანმოვარჯიშე ჩამოიტოვა და II ადგილი დაისაკუთრა.

ორძელზე ურთულესი ნაერთის საუკეთესო შესრულებისთვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა თბილისელმა სტუდენტმა რ. ბერიკაშვილმა.

* * *

სურათებზე: ნ. დრონოვა (მარცხნივ) და რ. ბერიკაშვილი.

ფოტო გ. ჟორჟოლიანისა.

## სოხუმი

„სპარტაკის" ცენტრალურ კლუბში ჩატარდა ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა ავტოტრანსპორტის კონტორამ. II ადგილი ხვდათ საგალანტერიო ფაბრიკის, III — სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის სპორტსმენებს. შაშში ყველას აჯობეს სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის წარმომადგენლებმა. II-III ადგილები გაიყვეს საგალანტერიო ფაბრიკისა და სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირის გუნდებმა.

გ. ჟორდანია.

## გურჯაანი

დაძაბული ბრძოლით წარიმართა რაიონული პირველობა ხელბურთში. ჭაბუკებში სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. გოგონებში ყველას აჯობა ჩუმლაყის საშუალო სკოლის გუნდმა.

ი. ოდიშელიძე.

„ლელო" მკითხველის სამსახურში

# „გულგრილობის გასაღები"

„ლელოს" 11 თებერვლის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ნათქვამი იყო, რომ დიღმის მასივის III კვარტალის VI „ვ" კორპუსში სპორტდარბაზისთვის გამოყოფილი ფართი გამოუყენებელია. წერილის ავტორი ამხილებდა დამნაშავეებს. რედაქციამ მასიველებისგან მიიღო წერილი, რომლის ავტორები გვწერენ 90-ე საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის ყოფილი უფროსის ჭოლიკაშვილის (ამჟამად მე-7 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის უფროსად მუშაობს), 90-ე კონტორის ახლანდელი უფროსის კასარელისა და სხვათა გულგრილობაზე. ამ წერილში დასახელებული ფაქტები ადასტურებს, რომ ჭოლიკაშვილი თავს არასოდეს იწუხებდა ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვით.

ამავე მასივის ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „დილას" ორგანიზატორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. კიზირია გაზეთში დაბეჭდილ მასალას ახალი ფაქტებით ავსებს. კერძოდ, იგი გვწერს: „რამ შეუშალა ხელი დარბაზის გადაკეთებას? პირველი მაისის რაიაღმასკომმა რაიონის სარემონტო კონტორის უფროსს ჭიპაშვილს მისცა განკარგულება პროექტის მიხედვით დარბაზის მოწყობის თაობაზე. ჭიპაშვილმა ამ საქმის მოგვარება ინჟინერ ლიპარტიას დაავალა. ქალაქის საბჭოს საგეგმო განყოფილებამ სათანადო სამშენებლო მასალა გამოყო, მაგრამ ადგილზე სამუშაოდ მოსულთ რკინიგზის მე-18 სახლმმართველობის მმართველმა კიკნაძემ უფლება არ მისცა საქმეს შედგომოდნენ. მან პირადი სურვილით მოინდომა პროექტით გასახდელად და საშხაპედ გათვალისწინებული ოთახი სახელოსნოდ გადაეკეთებინა".

რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ საქმეში სათანადო ორგანიზაციები ჩაერევიან.

● ტერსკოლი, 24 თებერვალი. რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის პროგრამით დღეს აქ ვაჟებმა გიგანტურ სლალომში იასპარეზეს. ყველას აჯობა ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ს. გრიშჩენკომ.

● ირკუტსკი, 24 თებერვალი. ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა დღეს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის პირველ მატჩში აქ ანგარიშით 3:0 (15:4, 15:11, 15:5) დაამარცხა ხარკოვის „ბურევესტნიკი". ეს არმიელთა ზედიზედ მეთოთხმეტე გამარჯვებაა. ისინი განაგრძობენ ლიდერობას ალმა-ათის „ბურევესტნიკთან" ერთად, რომელიც დონის როსტოვში — „ა" კლასის 12 უძლიერესი გუნდის მეორე ექვსეულში თამაშობს.

● ეშერა, 25 თებერვალი. დღეს აქ ერევნის „არარატის" ფეხბურთელთა გუნდმა საწვრთნელ მატჩში დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — 1:0.

ახალი ამბები

◆ ტერსკოლი, 25 თებერვალი. ქალთა გიგანტური სლალომი მოიგო მოსკოველმა ნ. მერკულოვამ—2.06,99. მან 77 მეტოქეს აჯობა და რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

◆ ჰალე, 25 თებერვალი. გდრ-ის ამ ქალაქის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა ამხანაგური მატჩი მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს — 5:3.

◆ პარიზი, 25 თებერვალი. ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატ-

—20—

ში საასპარეზოდ სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით ჩავიდა: ი. ყილსონი, ა. სემიონოვი, მ. იშჩენკო, ი. სოლომკო, ი. კლიმოვი, ვ. მახორინი, ა. შევჩენკო, ვ. მაქსიმოვი, ა. პანოვი, ი. ფხაკაძე, ნ. შაიუკი, ვ. ზელენოვი, ი. ზდორენკო, ა. კოჟუხოვი, ჯ. ცერცვაძე, ა. გულბისი. გუნდის მწვრთნელები არიან ა. ევტუშენკო და ი. გრინბერგასი.



# ზუზუმბოს მთაზე

თელავში, ზუზუმბოს მთაზე, გაიმართა რესპუბლიკური მოტოკროსი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 49-ე და საბჭოთა არმიის 52-ე წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობის ორგანიზებულად ჩატარებისთვის თელავის დოსააფის კომიტეტმა დიდი ჯაფა გასწია. მაგალითად, გამოუშვა სპეციალური სარეკლამო ფურცლები, რომლებიც ქალაქში თვითმფრინავიდან გადმოყარეს.

უამინდობის მიუხედავად, ასპარეზობის სანახავად დიდძალი მაყურებელი მოვიდა. 84 მონაწილეს საზეიმო აღლუმზე მიესალმა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შავგირაძე.

რთულ ტრასას ისიც აძნელებდა, რომ ორი დღის წინ მოსული თოვლი დადნა და ტალახში რბოლა ერთობ ჭირდა. არადა, თბილისის, სოხუმის, სამტრედიის, ახალციხის, გორის, სიღნაღის, ზესტაფონის, ბოლნისის, წყალტუბოს, გარდაბნის, რუსთავისა და თელავის მოტოციკლისტებს 2-კილომეტრიანი წრე სამი ცდით 8-8-ჯერ უნდა შემოევლოთ. გაიმარჯვებდა ის, ვინც სამიდან ორი ცდით უკეთეს მაჩვენებლებს მოიპოვებდა.

„350-ანებით" (სპორტული მანქანებით) რბოლაში თავიდანვე თბილისელები ა. კლდიაშვილი, ვ. ტკაჩენკო, (ორივე — ასკ) და დოსააფელი გ. ბეგიაშვილი დაწინაურდნენ. პირველი ცდა ტკაჩენკომ მოიგო, მეორე და მესამე — კლდიაშვილმა. გამარჯვებაც ამ უკანასკნელს ხვდა. ბეგიაშვილს მესამე ცდაზე მანქანა დაუზიანდა. იგი რბოლას გამოეთიშა და ამიტომ III ადგილი მასპინძელ მ. აბრამიშვილს დარჩა.

„175-ანებით" შეჯიბრებაც თბილისელებმა მოიგეს: პირველი იყო ა. ვავიანი (ასკ), მომდევნო ადგილებზე კი ვ. მანუკიანი და ტ. აბრამოვი (ორივე — დოსააფი) გავიდნენ.

აქვე ასპარეზობდნენ ქალები, ჭაბუკები და ვაჟები საგზატკეცილო მანქანებით. 350 კბ სმ მოცულობის საგზატკეცილო მოტოციკლებით რბოლაში ყველას აჯობა გარდაბნელმა ჰ. კალჩენკომ. თბილისელი ლ. ნარიკაშვილი მეორე იყო. III ადგილზე გავიდა ვ. ნალივაიკო (სოხუმი).

„175-ანებით" ვაჟთა შეჯიბრება გარდაბნელმა ვ. ბოგდანოვმა მოიგო. ჭაბუკებში მისმა თანაგუნდელმა ი. ულიზაროვმა იმარჯვა, იუნიორებში — თბილისელმა ა. გალუსტაშვილმა. ქალთა შორის კი პირველი იყო ს. ლებედინსკაია (რუსთავი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ავტომოტოკლუბებს შორის პირველობა თბილისელებს დარჩათ — 25 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა სოხუმის გუნდი — 35 ქულა. ახალციხისა და თელავის სპორტსმენებმა 42-42 ქულა დააგროვეს, მაგრამ III ადგილი მასპინძლებს ხვდათ.

სპორტტექნიკური კლუბების ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გარდაბანი, თბილისის ლენინის რაიონი, წყალტუბო.

ქ. ბერბერაშვილი.

თელავი. (ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების სტარტი.

ფოტო ავტორისა.

# ვინ შევა ოლიმპიურ ოქტეტში?

დღეს საფრანგეთში დაიწყება ხელბურთელ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშები. ფინალს წინ უსწრებდა შესარჩევი მატჩები, რომელთა შემდეგ ოქროს მაძიებელი გუნდების რიცხვი 26-დან 16-მდე შემცირდა.

ფინალურ ქვეჯგუფებში გუნდები ასე განლაგდნენ:

„ა" — სსრ კავშირი, შვეცია, ნორვეგია, გდრ;

„ბ" — ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, იაპონია, აშშ;

„გ" — რუმინეთი, გფრ, საფრანგეთი, შვეიცარია;

„დ" — დანია, უნგრეთი, პოლონეთი, ისლანდია.

როგორც ცნობილია, თითოეული ქვეჯგუფიდან მეოთხედფინალში გასვლა შეუძლია ორ გუნდს. ამგვარად, მეოთხედფინალში 8 გუნდი იასპარეზებს და სწორედ ეს კოლექტივები გამოთიშვის სისტემით განაგრძობენ ბრძოლას I-VIII ადგილებისთვის. და ბოლოს, ამ ოქტეტს 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მიენიჭება. აღსანიშნავია ისიც, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ხელბურთი პირველადაა შეტანილი.

ახლა შეუძლებელია რაიმე პროგნოზის გაკეთება. ბოლო წლებში ეგრეთ წოდებულ ფავორიტებსა და აუტსაიდერებს შორის ზღვარი ოსტატობაში იმდენად შემცირდა, რომ წინასწარ ვერავინ იკისრებს გამარჯვებულის დასახელებას. და მაინც, არის ეროვნული გუნდების ერთგვარ რანგთა ტაბელი, რომელიც 1969 წლის საერთაშორისო შეხვედრებში მოპოვებული შედეგების მიხედვით შედგა. საუკეთესო გუნდების სიას მეთაურობს რუმინეთის ნაკრები, რომელმაც 21 შეხვედრიდან 17 მოიგო. შემდეგ მოდიან გდრ-ის, დანიის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, სსრ კავშირის (12 მატჩი — 10 მოგება), იუგოსლავიის, უნგრეთის, შვეიცარიის, ნორვეგიის, ავსტრიის, ჰოლანდიის, შვეციის, პოლონეთისა და საფრანგეთის ნაკრები კოლექტივები. ამგვარად, თუ ამ ნუსხას დავუჯერებთ, № 1 ფავორიტი რუმინეთის გუნდია, ხოლო თამაშის რუმინულ სტილს, რომელმაც მარცხი განიცადა წარსულ ჩემპიონატში (შვეციაში), კვლავ იდეალურთან დაახლოებულად სცნობენ.

როგორია ეს იდეალი? რუმინეთის ნაკრების თამაში აგებულია სამ ძირითად პრინციპზე: ზღვარამდე მისულ მჭიდე თამაშზე დაცვაში, შეტევაში აშკარა საგოლე მომენტის შექმნამდე ბურთის გათამაშებაზე და, ბოლოს, საუკეთესო ფიზიკურ მომზადებაზე. იმისთვის, რომ რუმინელთა ზემჭიდე დაცვა დაძლიო, საჭიროა გყავდეს 2-3 ბომბარდირი, რომლებსაც ძალუძთ 9-10 მეტრის სიშორიდან კარის აღება და, სულ ცოტა, 2 ექსტრა-კლასის გარემარბი (უბრალოდ, „კარგ" გარემარბებს არ შეუძლიათ მძლავრი რუმინელი მცველების აღმართული ხელებისა და ფეხების ზღუდის გადალახვა). იმისთვის, რომ საკუთარი კარი საიმედოდ ჩაკეტოს, რუმინელთა ნებისმიერ მეტოქეს უნდა ჰყავდეს ისეთი მეკარე, რომელიც არაფერში დაუდებს ტოლს სახელგანთქმულ ე. ჰოლსტს, რომელმაც, საერთო აღიარებით, 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატში დანიელებს ვერცხლის მედლები მოახვეჭინა. შარშანდელ სეზონში რუმინელთა წინააღმდეგ მოთამაშე მეკარეების უმეტესობას გრუიას ტყორცნების შემდეგ ისღა დარჩენოდა, რომ სასოწარკვეთილი ბედს შერიგებოდა. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ სეზონში ნაკრების გატანილი გოლებიდან გრუიას ანგარიშზე, სულ ცოტა, ნახევარი მაინც მოდის. მაგრამ ახლახან პოლონეთში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში ნორვეგიელმა კილერუნდმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ გრუიას წინააღმდეგაც შეიძლება წარმატებით თამაში. თუმცა, ნორვეგიელთა ნაკრებზე ქვემოთ მოგახსენებთ...

დღევანდელ მსოფლიო ჩემპიონებს — ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელებს საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეექმნათ. შვეციაში გამართული ჩემპიონატის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ხელმძღვანელებმა ვერ გაბედეს იმ ვეტერანთა შეცვლა, რომლებმაც ჩეხოსლოვაკიის ხელბურთს ოქროს მედლები მოუტანეს და ახლა, ეტყობა, ნანობენ. მართალია, ჩეხოსლოვაკიელებს ოლიმპიადის საგზურები თითქმის განაღდებული აქვთ (მათ ქვეჯგუფში გამოდიან საკმაოდ სუსტი მეტოქეები — იაპონიისა და აშშ-ს გუნდები), მაგრამ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ძველი წარმატების გამეორება ერთობ გაუძნელდებათ.

ერთი სიტყვით, ვინც 1969 წლის შედეგების მიხედვით შეეცდება დაასახელოს მიუნჰენის ოლიმპიადის 8 მონაწილე, ჩვენი აზრით, უნდა დაასახელოს შემდეგი ქვეყნები: გდრ და სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია, რუმინეთი და გფრ, დანია და უნგრეთი. თუმცა, აჩქარება არ ღირს. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი — იანვრისა და თებერვლის საერთაშორისო შეხვედრების შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ოლიმპიურ ოქტეტში მოხვედრისთვის პრეტენზიას სხვა ქვეყნების ხელბურთელებიც აცხადებენ. ახლა მათ შორის ასახელებენ ნორვეგიელებს, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ „ა" ქვეჯგუფის აუტსაიდერებად მიიჩნევდნენ.

საერთო აზრით, „ა" ქვეჯგუფი (სსრ კავშირი, შვეცია, ნორვეგია, გდრ) ყველაზე ძნელია. აქამდე მათ შორის უძლიერესებად თვლიდნენ სსრ კავშირის, გდრ-ისა და შვეციის გუნდებს, ახლა კი ზემოდასახელებულმა ქვეყნებმა ისეთივე ანგარიში უნდა გაუწიონ ნორვეგიელებს, როგორიც ერთმანეთს.

ნორვეგიის ნაკრებმა ორ შესარჩევ შეხვედრაში ბელგიის გუნდი რომ დაამარცხა, ამ ამბავმა ვერავინ შეაკრთო. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ნორვეგიელებმა თითოეულ მატჩში 30 გოლის გატანა შეძლეს. ჩრდილოეთის ქვეყნების თასის გათამაშების დროს ნორვეგიელების მიერ დანიელების დამარცხება შემთხვევითობას მიაწერეს — ეს მოგება გამარჯვებულთა დამსახურებად კი არ ჩათვალეს, არამედ დამარცხებულთა პასიურობად. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნორვეგიელებმა პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავად იასპარეზეს, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა ფავორიტებად და აუტსაიდერებად დაყოფის მომხრეებმა თავიანთი მოსაზრებანი გადასინჯეს და გამოთქვეს აზრი, რომ ისინი მეორე თანრიგის ჯგუფიდან პირველი თანრიგის ჯგუფში უნდა გადაიყვანონ. ამის საფუძველი კი ცხადი იყო: ნორვეგიის ნაკრებმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (19:15) და № 1 ფავორიტი — რუმინეთის გუნდი (17:14). ნორვეგიელებმა მხოლოდ მასპინძლებთან — პოლონელებთან წააგეს და ტურნირში II ადგილი დაიკავეს. მათი მეკარე კილერუდი და თავდამსხმელი გრავერი მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშეთა ჯგუფში შევიდნენ. როგორც ხედავთ, სსრ კავშირის ნაკრებს საფრანგეთში ყველა მატჩი მძიმე ექნება, რადგან გდრ-ისა და შვეციის ხელბურთელებიც აცხადებენ, რომ საფრანგეთში მედლების მოსაპოვებლად გაემგზავრნენ.

აქამდე სსრ კავშირის ნაკრებმა სამჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატებში: 1961 წელს იგი ფინალში ვერ მოხვდა, 1964 წელს V ადგილზე გავიდა, ხოლო 1967 წელს — IV. თუ ციფრების ლოგიკას დავუჯერებთ, ამ სეზონში საბჭოთა ნაკრები, სულ ცოტა, ერთი საფეხურით მაღლა მაინც უნდა ავიდეს. მათემატიკურის გარდა, საამისოდ აქვს თუ არა სხვა საფუძველი ჩვენს ნაკრებს? ვფიქრობთ, აქვს. საერთაშორისო შეხვედრების მიხედვით ყველა მიმომხილველი შესაფერ შეფასებას აძლევდა ჩვენი ნაკრების კარგად აწყობილ თამაშს დაცვაში. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ დიდი სიძლიერით ტყორცნიან ბურთს ი. კლიმოვი, ვ. მახორინი, ვ. მაქსიმოვი, ნ. შაიუკი. და თუ რაიმე იწვევს შიშს, ეს ისაა, რომ გუნდი საკმარისად მოქნილი არაა. დანიის ნაკრების მწვრთნელი ენსენი 1967 წელს დანიელების მიერ საბჭოთა გუნდის დამარცხების შემდეგ წერდა: „სსრ კავშირის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ მას მოქნილობა აკლია. და ჩვენ სწორედ ეს დაგვეხმარა. საბჭოთა ხელბურთელებს რომ შეეძლოთ მატჩის მსვლელობისას თამაშის სხვა ყაიდაზე გადაწყობა, მაშინ... ამაზე ფიქრიც კი საშინელია".

სსრ კავშირის ნაკრები მოქნილობით არც წლევანდელ სეზონში გამოირჩეოდა, თუმცა ახლა 1967 წლის ნიმუშის ნაკრებზე უფრო ძლიერი გახდა. მაგრამ შეფასდება თუ არა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ტყორცნის დიდი ძალა მაღალი ქულებით? ჯერჯერობით ნათელია მხოლოდ ერთი: ახლანდელი ფავორიტებიდან ზოგიერთი წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც ფავორიტად დარჩება. მაგრამ მომავალი ოლიმპიური ოქტეტის შემადგენლობის დასახელებას წინასწარ ვერავინ შეძლებს.

რ. დმიტრიევი.



# „კონ-ტიკი" გამოფენაზე

„კონ-ტიკი" — ცხრა მორისგან შეკრული პატარა ტივია, რომელსაც ერთი სწორი აფრა აქვს. მორები ერთმანეთზე მცენარეთა ღეროებისგან დაწნული თოკებითაა გადაბმული. ამ ტივით ცნობილმა ნორვეგიელმა ეთნოგრაფმა ტურ ჰეიერდალმა მამაცთა ჯგუფთან ერთად მოაწყო უმაგალითო მოგზაურობა წყნარ ოკეანეში პერუს ნაპირებიდან პოლინეზიამდე. მანძილი 4300 საზღვაო მილს უდრიდა...

ამ ისტორიული ხომალდის ზუსტი ასლი დიდი ოსტატობით დაამზადა ნორჩმა თბილისელმა მოდელისტმა, მე-19 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ალექსანდრე ჩერქეზიშვილმა. დღეს მისი ნამუშევარი გამოფენილია მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის „ნორჩი ნატურალისტებისა და ტექნიკოსების" პავილიონში.

ა. აბდულინი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: „კონ-ტიკის" მოდელი.

„ტრუდი", № 46 (14955).

# პანდური რასისტებს

ბელგრადი, 24 თებერვალი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდი, კოლექტივი იმ ქვეყნისა, სადაც რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა მძვინვარებს, არ იქნება დაშვებული ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატში. სპორტის რეაქციონერთა ყველა ცდა, როგორმე გამოსულიყვნენ მსოფლიო პირველობაში, ამაო გამოდგა (როგორც ცნობილია, ეს ჩემპიონატი ლიუბლიანაში გაიმართება შემოდგომით).

შარშან შემოდგომაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდი ლიუბლიანაში მსოფლიო ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციაზე არ დაუშვეს. შეჯიბრების ორგანიზატორთა ამ გადაწყვეტილებამ პროგრესული საზოგადოებრიობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

მაგრამ რასისტებს ქომაგები გამოუჩნდნენ, რომლებიც მუქარასაც კი არ მოერიდნენ. მათ განაცხადეს, იუგოსლავიელებს ჩემპიონატს ჩამოვართმევთ და სხვა ქვეყანას გადავცემთო. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ა. განდერმა (შვეიცარია) ეს-ეს არის ლიუბლიანაში გამოგზავნა დეპეშა, რომელშიც დაადასტურა, რომ ჩემპიონატი იუგოსლავიაში დაწესებულ ვადებში გაიმართება.

# ყველა ბავშვი!

ბერლინი. 24 თებერვალი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბავშვთა და ჭაბუკთა III სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში 1300 ბავშვი გამოვიდა. ეს ასპარეზობა ზამთრის სახეობებში ბერლინსა და იოჰანგეორგენშტადტში (კარლ-მარქს-შტადტის ოლქი) გაიმართა. სულ, წინასწარი შეჯიბრებების გათვალისწინებით, სპარტაკიადაში 140 ათასი ბავშვი მონაწილეობდა.

როცა სპარტაკიადის შედეგებს აჯამებდა, გდრ-ის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის პრეზიდენტმა მ. ევალდმა თქვა: „როგორც ჩანს, მომავალი ასეთი ასპარეზობის სტარტზე ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის ყველა ბავშვი გამოვა". (საკდესი).



△ ვუპერტალი. მოცურავეთა აქ გამართულ შეჯიბრებაში მ. ჰოლტჰაუზმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გფრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა — 2.12,2.

△ რომი. იტალიელმა ქალმა კალიგარისმა 25-მეტრიან აუზში 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 36,2 წამში გაცურა. ეს 0,1 წამით ჩამორჩება ვეცკოს (გდრ) ევროპულ რეკორდს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08066